

645 /  
1989/2



# საქართველოს პეტი

ISSN 0883-1500

10  
1989

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური  
კომიტეტის ყოველთვიური საზოგადო-  
ებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლი-  
ტერატურული ფურცალი.



«საკართველოს კალი»  
(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

Ежемесячный общественно-политиче-  
ский и художественно-литературный  
журнал ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი  
მარიკა  
ბარათაშვილი

Главный редактор  
МАРИКА  
БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:

ნელი ბურჯინია, ნონა ბაგრატიონი, ნაზი თარგამაძე,  
ლია ქაბაშაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ზინიდა ქაბაშაძე,  
ნაზი ძივანაშვილი, თამარ ლაშაბაძე, მათეველი ლ.მ.  
თათიძე, ნინო შვანიძე, სერაპი ბარათაშვილი (მხატვრული რე-  
დაქტორი), ნადია ზაქარაიძე, ლევა ზეინბერგი, ირმა  
ჩუბინაშვილი, ნინო ჯაფარიძე, ეთერ ჯაფარიძე.

ტექნიკური ნაწილი ბუკია

ბარათაშვილი პირველ გვერდზე — პროფესორი მარიკა ლომო-  
ვიანიძის კორექტი — საპარტიო სსრ დამსახურებული  
მხატვრის ნელი ბურჯინის ნაშრომები; მითითება — სსრ  
კავშირის სახალხო მხატვრის ზურაბ ჭავჭავაძის მონაწილე-  
ობის შესახებ „წიგნიანი ნინო“.

საქართველოს კავშირის გამომცემლობა

წიგნის წიგნიანი დროის ორდენისანი საქ. კავშირის გამომცემლო-  
ბის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография  
издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина 14.  
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина 14.



და-მა მარიკა და ვივა ლორთქიფანიძე

**მ**არიკა ლორთქიფანიძეზე, რო-  
გორც მეცნიერსა და მოქალაქე-  
ზე, საუბარი შეუძლებელია, თუ  
ნაშიერდ შევლი არ გადავყა-  
ვდეთ იმ ოჯახურ გარემოს, რომელშიც  
იგი აღიზარდა.

— დედა — ნინო მიქელაძე გენერლის  
ქალიშვილი გახლდათ, მუსიკალური გა-  
ნათლებით. მამას — დავით ლორთქიფა-  
ნიძეს, გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული,  
ამიტომ ოჯახში რუსულ-ევროპული კულ-  
ტურის ტრადიცია მძლავრობდა. მაგრამ  
იგი შესანიშნავად ფლობდა ქართულ  
ენას, ბავშვებსაც ქართულად გველაპა-  
რაკებოდა, — გვიამბობს ქალბატონი  
მარიკა. — მამინ არ მესმოდა, რატომ  
ყო მამა ასე მონადინებული სხირად  
ელაპარაკა ჩვენთან ქართულად. უფრო  
მოგვიანებით, ჩემთვის ნათელი გახდა,  
რატომ ზრდიდა და ანეთიარება შეიღებ-  
ო ქართული ენისადმი სიყვარულს.  
მშობლიური ენის სიყვარულს კიდევ უფ-  
რო აღვივებდა ბებიაჩემი, მართა თა-  
დგირიძე. მას თავისი დროის კვლავობზე  
კარგი ოჯახური განათლება ჰქონდა მი-  
ღებული, წიგნიერი ქალი იყო, ზედმინე-  
ნით იცოდა ძველი ქართული მწერლობის  
საუკეთესო ნიმუშები. განსაკუთრებით  
„ვეფხისტყაოსანი“. მან ზეპირად იცოდა  
მთელი პოემა. ბებია ზამთრობით ჩვენთან  
რჩებოდა. მამა მას ავალბდა, სწირად  
წავიკითხა ჩვენთვის „ვეფხისტყაოსანი“.  
ახლაც ჩამსმის ყურში ბების ტყილი  
ხმა, წამღერებით რომ ეთხულებოდა. გა-  
მორჩევი უყვარდა ნესტანის წერილი—  
შეძლო დაუსრულებლად ეკითხა მთელი  
პოემა. ვიხსოვდი სხვა რამე წავიკითხა,

# პრის ქაღი

9 04 1937

მაგრამ მამერებდა, ჯერ ეს ნავიკითხოთ და მერ სხვაყო. ახლაც მახსოვს მართა ბებია (რომლის სახელსაც მე ვატარებ), ხელში გიორგი ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“ უჭირავს და გატყუებული მიკითხავს ნაწყვეტებს პოემიდან...

— დედა მუსიკალურად განათლებული ქალი იყო. მამაც დიდ პატივს სცემდა კლასიკურ მუსიკას და ხშირად დაყვავდი ოპერაში, თეატრში, კონცერტებსა და საღამოებზე. ისიც მახსოვს, როგორ განიცდიდა დედა, როცა გულისყურით ვერ ვისმენდი მუსიკას. ერთხელ ბაბის მუსიკის მოსმენისას ჩაემძინა. დედა საყვდელით მაღვიძებდა, — „როგორ შემარტყენინო, როგორ შემარტყენინო“. მუსიკის სიყვარულს ბავშვობიდანვე შევხარად და ეს გრძობა დღემდე შემომჩრჩა. ბავშვობა და ახალგაზრდობა თეატრში მაქვს გატარებული, ძირითადად ოპერაში. ძალიან მიყვარს ვერდის ოპერა „იადა“, მომისმენია ამ პარტიის თითქმის ყველა გამოჩენილი მომღერლისათვის, მაგრამ „დაისი“, „აბესალომ და ფთერ“ ყველაფერს მირჩევია. ჩვენს ხელოვნებას და მუსიკის სიყვარულს ხელს უწყობდა ოჯახის ნათესაური გარემო, როგორც რადისი, ისე მამის მხრიდანაც. ცნობილი ქართველი დირიჟორი ეგვინი მიქელაძე დედას მკვიდრი ბიძაშვილი იყო. ხოლო ჩემი ბიძაშვილი თეიმურაზ ლორთქიფანიძე, ფოთის თეატრის რეჟისორი.

ამ დღებულმა ოჯახმა მისცა საქართველოს ქართული თეატრის გამოჩენილი მოღვაწე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო, შოთა რუსთაველის და კლდე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე, რომლის რეჟისორება მოღვაწეობდა შორს გააუქვა სახელი ქართულ თეატრსა და კინოხელოვნებას. გიგა ლორთქიფანიძე უფროსი როგორც ქართულ, ისე რუსულ თეატრალურ ხელოვნებაში. უსაზღვრო პატივს სცემენ ამ იგივით ერისკაცს. მისი მქაჭავრძე ნიჭი, მუსიკალობა, უმდიდრესი ფანტაზია, ენამახვილობა, ერთნაირად ხბნდება და ატყუვებს მის გარშემომყოფ ადამიანებს...

— თვეში მთორც სამეარო, სადაც სულიერად ისვენებ? — ვეკითხებით ქალბატონ მარიკას.

— ოჯახი. მყავს სამი შვილი. თამარი და გიორგი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები არიან, ხოლო დავითი ექიმია. მყავს შვიდი შვილიშვილი, — უფროსი

ოცი წლისაა, უმცროსი — ორისა, — ლიბილით ამბობს მეცნიერი და თვალუბი სიყვარულით ევსება.

— როდესაც თვალს ვავლებთ მარიკა ლორთქიფანიძის ფუნდამენტურ ნაშრომებს, უნებლიეთ გვებადება კითხვა, როგორ ართმევენ თავს მეცნიერი ქალი ამ ორ დიდ მისიას. ხომ არ ზარალდება რომელიმე, ორივე მათგანი ხომ დიდ ენერჯიას, გულისყურსა და შრომას მოითხოვს.

— ალბათ, ზოგჯერ ერთიც „ზარალდება“ და მეორეც.

მოღვაწე ქალის ლიბილი უნებლიეთ ის აზრი გამოკრთის, რომ მას უსაზღვროდ უყვარს ორივე. ამ სიყვარულს ჩააქვს სამანი... აბიტომაც უხდის თავის წილ „ხარკს“ დიდ ოჯახს და დიდ მეცნიერებას.

გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა და პედაგოგმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა, უნივერსიტეტის ქალთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა მარიამ დავითის ასულმა ლორთქიფანიძემ 1939 წელს სკოლის მედილი დაამთავრა თბილისის 25-ე საშუალო სკოლა. იგი სკოლის წლებშივე დაინტერესებული იყო ხელოვნებით. სწორედ იმ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოატყდა მთავარი ისტორიის ფაკულტეტის ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობაზე. ამან საბოლოოდ განსაზღვრა მისი და რამდენიმე მისი თანაკლასელის მომავალი.

სკოლის წლებმა ბერი რამ მომცა, — ამბობს მეცნიერი, — მინდა სიყვარული მოვიტონო ნინო მიქელაძე, ცნობილი ქართველი მწერლის დავით მეგვლის ქალიშვილი, რომელიც ოთხი კლასის ჩათვლით ყველა საგანს ვაგასავლიდა, ხოლო შემდეგ — რუსულ ენას და დოქტორატურას. ის კი არ ვაგასავლიდა, ვაზრდიდა, ვაჰაღვედა ყველაფერს, რაც უი შეიძლება სკოლაში მოგვეცეს. მინდა აქვე მოვიტონო ქართული ენის მასწავლებლის ონორე ნიკოლაშვილი, რომელიც ვეაზრდე და მეცნიერულ აზროვნებას, ყოველდღიურად აწრთობდა ჩვენი გონებას. მათთან ერთად ღრმად ჩაგრძა მესხიერებაში უღრმესად მკვირ და მომთხოვნი გეოგრაფიის მასწავლებელი ოლია ჭვიშვილი (ცნობილი დოკიკოსის ზურაბ მიქელაძის დედა) ის სწავდებოდა მეცნიერების ყველა კუთხის, რაც დაკავშირებული იყო გეოგრაფიასთან, მშენებლობა იცოდა მსოფლიო ისტორია და რასაკვირვებლია საქართველოს ისტორია. ახერხებდა ჩვენი-

ვის ისტორიაში ბერი რამ ესწავლებინა. სწორედ ამ ხანებში გადავწყვიტეთ მე და ჩემი კლასის ამხანაგებმა, აჭმანდ ცნობილი მეცნიერებმა — ოთარ ჯავრიანიძემ, გივი კილერაძემ და სხვებმა, უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე სწავლა, ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობით.

1943 წელს მარიამ ლორთქიფანიძემ ამანთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოსოფიის ფაკულტეტი და იმერულ წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში საქართველოს ისტორიის კათედრაზე.

მისი ხელმძღვანელი იყო სახელოვანი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია.

— ძალზე ბედნიერი ვიყავი, — გვიამბობს მარიამ ლორთქიფანიძე, — სამი წლის განმავლობაში, ვკვირში ერთხელ ვხვდებოდით ბატონ სიმონს, ჩემს ხელმძღვანელს, რომელთანაც წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფიაში ვმუშაობდი. მისი რჩევითა და დავალებით ვკითხულობდით სანტიგრესო თხზულებას, ან-გარშიშს ვაზარდელ თანხლებულ მუშაობის შესახებ. ამვე დროს ვმუშაობდი სადისტრატოვო თხზვაზე. იგი მაშველდა შენიშვნებს, მითითებებს... ბატონი სიმონ ჯანაშია იყო შესანიშნავი ადამიანი, პრინციპული და მომთხოვნი ხელმძღვანელი. ის ცოდნასთან ერთად, მოიხიბოდა პრინციპულ პოზიციას სადისტრატო და სადა-ვო პრობლემების მიმართ. ბატონი სიმონი დიდ ყურადღებას იჩენდა თავისი მონაწევრებისადმი. ომის შემდგომ მძიმე წლებში ყოველნაირად ეხმარებოდა მათ, როგორც ეკონომიკურად, ისე მორალურად. რაც დიდ გაცემს, უფრო მეტად ვგრძნობ მისი პიროვნების სიღაფთა.

მახსოვს, ერთხელ მე და შოთა ბურჩიანიძე ნავიკითხავს დღეებში მეგრების ცნობილი ლექსი „ადამიანი“, პოეტის მოქალაქეობრივი მოვალეობის შესახებ და ვითიონვე განმარტა, რომ ადამიანს არა აქვს უფლება არ იყოს მოქალაქე.

ბატონი სიმონის ასპირანტი ვიყავი, ჩემი საკანდიდატო დისერტაცია უკანასკნელსადა მარშინი იყო, რომელსაც მან ვიხაწედი...

ასპირანტურაში ყოფნის დროს ქალბატონ მარიკას ასევე უკონდა მეცნიერება შეხვედროდა დიდ ქართველ ბუნებისგვირგორი წერტელს, რომელიც არაბულს ახსავლიდა. ძველ ქართულსა და სომხურს კი — ილია აბულაძე. ამ დიდ მეცნიერებთან ყოფნა მთელი აკადემია იყო... ბერი რამ ისწავლა მთავარ, რისთვისაც დიდი მოქმადებით, სიყვარულითა და

უსასაზღვრო მადლიერებით იკონებს.

1947 წელს მარია ლორთქიფანიძემ დაიწყო მუშაობა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილებაში. ეს განყოფილება მთლიანად მოიცავდა საქართველოს ისტორიის უძველეს დროაღამ დავეანდამდე. განყოფილების გამვე აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი იყო. ისტორიკოსისათვის ამ განყოფილების სხდომებზე დასწრება დიდ სკოლას წარმოადგენდა. აქ იხილებოდა წლიური გვეგმებით შესრულებული თემებზე, გამოსაკვეთლად გამწადებული ნაშრომები და სხვე, ამ შრომების შესახებ იხილებდნენ ნიკო ბერძენიშვილის აზრს, მის პირუთენელ კრიტიკას, მეცნიერული შრომების მალაქორფისებულ შეფასებას.

1948 წელს მარია ლორთქიფანიძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „თბილისის საამირო“, სადაც მან ქართული, სომხური და არაბული წერილობითი წყაროების საფუძველზე მონოგრაფიულად შეისწავლა არაბთა ბატონობის შედეგად წარმოქმნილი პოლიტიკური ერთეულის — თბილისის საამიროს ისტორია VIII—XI საუკუნეებში.

ამვე წლიდან იგი მუშაობას იწყებს თბილისის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტად, შემდეგ — პროფესორად, ხოლო 1972 წლიდან აღნიშნული კათედრის გამვე.

მარია ლორთქიფანიძის სადოქტორო დისერტაციის თემა — „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება“. იგი ფუნდამენტური გამოკვლევა საქართველოს ფეოდალური მონარქიის წარმოქმნის შესახებ. მეცნიერი იკვლევს აგრეთვე, საქართველოს შუა საუკუნეების სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სახელმწიფო წყობილებისა და კულტურის საკითხებს, ქართულ წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიას.

პროფესორი მარია ლორთქიფანიძე 80 სამეცნიერო შრომის ავტორია, აქედან 7 მონოგრაფია: „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება“, „ქართული V საუკუნის მეორე ნახევარი“, „ნარკვევები საქართველოს გლეხობის ისტორიიდან“, „საქართველო XI—XII საუკუნეებში“, აღნიშნული — ფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა“, „საქართველო რუსთაველის ეპოქაში“ და სხვე.

მას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ისტორიის რვატომეულის შემწებაში. აქედან II და III ტომების თანაავტორია, II ტომში მოცემულია IX—X საუკუნეების საქართველოს ისტორია, III ტომში — საქართველოს პოლიტიკური ისტორია XI საუკუნის დასაწყისიდან XII საუკუნის 80-იან წლებამდე, ამ ნაშრომისათვის მარია ლორთქიფანიძეს, სხვა ავტორთა გარეშე, 1982 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია.

მარია ლორთქიფანიძემ ძველი ქართულიდან — რუსულად თარგმნა XI საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის ისეთი ძეგლები, როგორც არის „მატიანე ქართლისა“, და „სუმბატ დავითის ძის ცხოვრება და უწყება ბაგრატიონისა“, რისთვისაც 1980 წელს აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა.

უნივერსიტეტში მუშაობის დაწყების დღიდან მარია ლორთქიფანიძე ისტორიის ფაკულტეტზე კითხულობს საქართველოს ისტორიას (ზოგად კურსს), ისტორიოგრაფიას და წყაროთმცოდნეობას. ატარებს სპეკურსს საქართველოს მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხებზე. ხელმძღვანელობს სტუდენტინარებს. წლები მანძელზე კითხულობდა საქართველოს ისტორიას აღმოსავლეთმცოდნეობის, ფილოლოგიის ფაკულტეტებზე (ქართულ და რუსულ განყოფილებებზე), მახლობელი აღმოსავლეთის შუა საუკუნეებისა და სახალაფოს ისტორიის ისტორიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტებზე.

მარია ლორთქიფანიძის უაღრესად საინტერესო წერილები, ლექციები წარმოება-დანესტულებებში, საუბრები რადიო-ტელევიზიაში; მუდამ იმსახურებს მსმენელთა დიდ ყურადღებას და მონონებას.

იგი დაუტყობელი ენერჯით ეწევა აქტიულოვან ისტორიის აქტიულოური საკითხების ფართო პროპაგანდასა და პოპულარიზაციას. მონაწილეობს; ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მოვლენასა და ღონისძიებაში.

მარია ლორთქიფანიძე კომუნისტური პარტიის წევრია 1969 წლიდან. იგი არის უნივერსიტეტისა და ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოების წევრი, საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარის მოადაველ, უნივერსიტეტის ისტორიის შრომების კრებულის რედაქტორი, უნივერსიტეტის რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე. ამავ დროს აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკის სამეცნიერო მუშაობაში. მონაწილეობს ისტორიული რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონგრესებში (მოსკოვი, ვენა, ბუქარესტი, სან-ფრანცისკო, ათენი და სხვე).

ისტორიოქოი ქალის სახელს კარგად იცნობენ უცხოეთის სამეცნიერო წრეებშიც. კარგა ხანია არსებობს თბილისში და იენის უნივერსიტეტების ერთობლივი ქართველოლოგიური ფუნალთა „ეკორეგია“. ფუნალში მოთავსებული ქართული მასალების რედაქტორი პროფესორი მარია ლორთქიფანიძეა (უკვე გამოვიდა ფუნალის მეთე ნომერი). ცხადია, მეცნიერის გარკვეული კონტაქტები აკავშირებს უცხოელ მეცნიერებთან.

1983 წლიდან მარია ლორთქიფანიძის თაოსნობით საქართველოს ისტორიის

კათედრასთან დაარსდა სოფლები (საქართველოს შემსწავლელი ლაბორატორია, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს საზოგადოებრივ საწყისებზე.

ლაბორატორიისა და კადრების წევრები წავლენენ საქართველოს სოფლის ისტორიას. ამ სამუშაოებში ჩაბმული არიან ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებშიც.

მარია ლორთქიფანიძემ ბევრი მეცნიერი აღზრდა. ახლა სინი წარმატებით მუშაობენ სამეცნიერო დანესტულებში. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და დაცული იქნა ხუთი საკანდიდატო დისერტაცია.

1975 წელს, კადრების აღზრდისა და მეცნიერების დარგში თვალსაჩინო წარმატებისათვის მას მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ინტეგა...

1987 წელს ინტელსურ ენაზე გამოვიდა ქალბატონი მარიამის რუსულად თარგმნილი ნაშრომი „საქართველო XI—XII საუკუნეებში“. ამავ დროს იგი არის „თბილისის ისტორიის“ სამკომეულის თანაავტორი. ამ საბჭოთაო მისი დაწერილია IV—X საუკუნეების თბილისის ისტორია, სადაც ახლგზად არის წარმოწერილი თბილისის გაუაღებებისა და ქალაქის შედგომი განვითარების ისტორია.

მეცნიერმა ქალმა დიდი მუშაობა გასწავლა, როგორც საქართველოს ისტორიის ნარკვევების რეაბიტულის რუსული ვარიანტის 11 და 11 ტომების ავტორმა და 11 ტომის თანარედაქტორმა. აღნიშნული „ნარკვევების“ რუსული ვარიანტი ქართული „ნარკვევების“ საფუძელაინი გადაბეშავების შედეგად შეიქმნა. ახალ მოთხოვნათა და ბოლო გამოკვლევასა საფუძველზე, რიგი საკითხებისა ახლებურად არის გაშუქებული...

მარია ლორთქიფანიძემ და ავტორთა კოლექტივმა მოამზადა და მალე დაიბეგება საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელო საშუალო სკოლებისათვის, სახელმძღვანელოში გათვალისწინებული ის ახალი მოთხოვნები, რაც წამოყენებულია ზოგადგანმანათლებლო სასკოლო საკვების სახელმძღვანელოების მიმართ.

საქართველოს სსრ აკადემიის წევრ-კორესპონდენტ მარია ლორთქიფანიძე გრისა და მეცნიერების წინამუ გაწეული ღვაწლისათვის 1988 წელს თბილისის საბჭოთაქალაქე აირიგნე. ქართველი იენი მას იცნობს როგორც არა მარტო მეცნიერს, არამეც საზოგადო მოღვაწეს, ეროვნული პრობლემებისათვის მებრძოლს, სხვადასხვა საზოგადოებების აქტიურ წევრს, რომელიც ყოველთვის იზრძებს საქართველოს კეთილდღეობისათვის.

ახლანდელ ინტელსურ ენაზე გამოცემული წიგნისათვის — „საქართველო XI—XIII საუკუნეებში“ მარია ლორთქიფანიძე იფანე ჯავახიშვილის სახელობის პრემიის ღაურეატი გახდა.

თამარ გომარათელი

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი საქართველოს სსრ შიდა საქმეების საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 427  
1989 წლის 15 აპრილი, ქ. თბილისი

## ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცდეს შემუშავებული და რესპუბლიკის ფართო საზოგადოების მიერ მოწონებული ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა.
2. დაევალოს რესპუბლიკის ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას უზრუნველყოს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება და დროული შესრულება.
3. ყველა ორგანიზაციამ, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული პროგრამის შესრულებასთან, ორი თვის ვადაში დაამუშაოს და წარადგინოს საქართველოს მინისტრთა საბჭოში კონკრეტული წინადადებები, მათი რეალიზაციის ვადების ჩვენებით.

4. ამ დადგენილების შესრულებისადმი კონტროლი დაეკისროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ბ. ვაშაბაძე

საქართველოს სსრ შიდა საქმეების საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე  
მ. ჩიქაძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე  
ბ. შიტიანაძე

# მორბივი ენა ქანა

ქართული ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის როლი და მნიშვნელობა ყველა ქართველმა საფუძვლიანად უნდა გაიცნობიეროს, განსაკუთრებით კი დედებმა და აღმზრდელმა — მასწავლებლებმა, რათა არ მოხდეს მიუტკეველი შეცდომები: ბავშვებს არ დაეკარგათ მშობლიური ენა, სხვა ენით არ შეიცვალოს იგი.

მშობლიური ენის განვითარების პროცესში თუ ქალს, დედას, მასწავლებელს, მონივნავე მოხვითა უკავია ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მაშინ ცხადია უფრო დიდია მათი პასუხისმგებლობაც. შემოხვევითი არ იყო, რომ მშობლიური ენის სწავლების ერთერთ უნიშვნელოვან სახელმძღვანელოს ი. გოგავაძემ დაედგინა ენა "უნოდა."

რომელი ერისა, კულტურისა და ზნეობის მატარებლადაც ვერცა შეიძლება აღზრდა, იმ ენაზე უნდა ავაშენოთ

იგი, რადგანაც ცნობიერებისა და აზროვნების განვითარება ენის საშუალებით ხდება. ენის ფსიქოლოგია კი ისეთი რამ არის, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია აქციოს ნებისმიერი ეროვნების ზენსახისათვის პიროვნებად. ტყუილად კი არ ამბობენ, რომ ენა ერის ისტორიაა, ამ სიტყვის როგორც სულიერი, ისე მატერიალური გაგებით, რადგან ადამიანის მიერ შექმნილი მატერიალური ღირებულებაც მისი შემქმნელის ენაზე მეტყველებს; შეიძლება იგი საერთო მნიშვნელობით, ღირებულებით, ვასცდეს ეროვნულ ჩარჩოებს, სააკტობრიო განმარტებაც იქცეს, მაგრამ, მაინც მასში ეროვნული კულტურის ძალაა ამოსავალი, ნიშანდობლივი და საცნაური. ამრიგად, თუ ენის ძალა ისეთი ფენომენია, რომელსაც შეუძლია ადრეული ასაკიდანვე თავისი ზეგავლენით ნებისმიერი ადამიანი ნებისმიერი ეროვნების კაცად აქციოს (და, აქ საჭევი არაფერია),

ის მშობლები, რომლებიც უცხოენოვან სამეცნიერო გარემოში აღზრდიან ბავშვს, უფროდ და განუსჯელად ტყაყავენ ზედიდან იმას, რითაც განისაზღვრება აზროვნების თავისებურება, მამულიშვილური გრძნობა და სიყვარული, მოყვასისადმი კონსოლიდაციური განწყობისა და თანამოაზრობის ნაფილი და შესაძლებლობა. ერთი სიტყვით, ვარკვეული მნიშვნელობით, ეს არის ადამიანის განსხვავება, სხვადაკვეცა ანუ ლალატი.

დედა ენა, ღვიძლი ენა, იმდენად დიდი რამ არის პიროვნების მსოფლმხედველობისათვის, რომ მას, საკუთრივ ეროვნულობის გარდა, უფრო ურტყლი მნიშვნელობის ცნებაც გამოქმენა — რჯული. რა რჯულია კაცთა რომ იტყვიან, მაგრო რელიგიური სარწმუნოებას კი არ გულისხმობენ, ეროვნულ სარწმუნოებასაც, ყოველივე იმას, რითაც ეროვნული თავისთავადობა განისაზღვრება.

აბა, რომელი ქართველი იტყვის, რომ ჩვენი საკუთარი რჯული და საერთო კულტურა, ენა, ისტორია და სხვა ღირებულებანი ისეთია, რომ ისინი სხვისით შევცვალოთ, ე. ი. განვსხვავდეთ? — არაინ. და თუ იტყვის ვინმე ასეთს, ის თვითონ უკვე გასხვიებულია და აბა რა დაეჯერება.

რა თქმა უნდა, ყოველივე ამას ვამბობთ ჩვენი საზოგადოების მცირე ნაწილისათვის და არა მათთვის, ვისაც ზემოთქმული ჩემზე უკეთესად მოეხსენება, მაგრამ ის მცირე ნაწილიც, ცალკე, იმდენად დიდია, რომ უნდა ირწმუნოს. დიახ, უნდა ირწმუნოს, რადგან, როგორც დიდი ილია ამბობს, ცხოვრებაში ბევრი ისეთი რამ არის, რომელიც თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ და ბევრიც ისეთი, რომელიც თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ. მშობლიური ენის რაობა და ვითარება კი ისეთია, რომ ირწმუნედა სჭირდება და დაინახეც. ჩვენი წერილის მიხედვით პირველს, რომ უნდა ირწმუნოთ, დანახვისა და გამოცდილების უქონლადაც მტკიცება აღარ უნდა, მაგრამ ირწმუნის გაღრმავებისათვის, მისი პრაქტიკულ საქმიანობაში განუხრვლად გამოყენებისათვის, საგნის დანახვა ირწმუნის ხორცშესხმა.

წერილი ჭკუის სწავლებას რომ არ დაემსგავსოს, მშობლიურ ენაზე მეტყველების დაუფლებისათვის რამდენიმე ზოგადი პედაგოგიური სახის რეკომენდაცია მინდა შემოგთავაზოთ:

1. არ დაგავიწყდეს, რომ ბავუვი დაბადების პირველივე დღეებიდან თავის ცხოვრებაში რთავს სიტყვიერი მეტყველების ისეთ აუცილებელ ანალიზატორს, როგორც არის სმენა. ბგერითი მეტყველების განვითარებისათვის სმენის ხარისხს, ინტელექტთან და სამეტყველო აპარატის მდგომარეობასთან ერთად გადმწვევტი მნიშვნელობა აქვს. იმ ანომალიის გარდა, რასაც თვალთ შევნიშნავთ, დიდი დაკვირვებით უნდა ვადევნოთ თვალყურს ბავუვის რეაგირებას ხმაურზე, როგორც არასამეტყველო, ისე სამეტყველო სხემის მიმართ მის რეაქციებზე. პირველი ორი თვის მანძილზე მაინც უნდა ვიცოდეთ ბავუშს აქვს თუ არა ნორმალური სმენა. თუ დიდწებში შეგვეპარა ეჭვი, ექიმს უნდა მივმართოთ და თუ ხმაურზე, განსაკუთრებით უსიამოვნო ხმებზე, უარყოფითი რეაქციები შევნიშნავთ, უნდა ვეცადოთ აღვკვეთოთ ეს უსიამოვნებანი. ბავუვი ვაყოფოთ ერთგვაროვან მშვიდ სამეტყველო გარემოში. თანდათან შევავლოთ იმ გარემოში მყოფთა სამეტყველო ხმებსაც კი, რომლებიც ბავუშს აწყოფთ. ვიდრე ბავუშის თვალის საგნების გარკვეულ ისნავლს, ყური მშვენივრად არჩევს მიჩვეულსა და სასიამოვნო ხმებს. სასიამოვნო მოქმედებს მასზე ყვირილი და აწვეული ტონი. თუ არ გავითვალისწინებთ ამ პირობებს, — იცოდეთ, თავიდანვე ვაზიანებთ ბავუშის მეტყველებას იმ გაკებით, რომ ქვევნიობიერად ყალბადე-



ბა სამეტყველო შიშები (ფობია). რომელიც შეიძლება მთელი სიცოცხლის მანძილზე გააყვეს თან და გაუმრუდოს ცხოვრების გზა.

ალურსიანი და დამამშვიდებელი ტონი დადებითად მოქმედებს ბავუშის საერთო უსტიკიანზე. შეიძლება პირველ ხანებში, ვიდრე ბავუვი მარტივ ბგერათა დიფერენციაციის უნარს გამოიუმუშავდეს, თავი ვერ შევიკავოთ სააღერსო ბგერათა მოჩაღვქვით, მაგრამ ვარკვეულ პერიოდში ეს თითქმის უშინშეწელი შეცოდება, შემდგომი უნდა ვილაპარაკოთ ისე, როგორც დიდიბან, მაგრამ ალურსიანი და თბილი ტონით. სიტყვის ცნება თუ არა, მისი მუსიკალობა მაინც ჩვილობის ასაკში ბავუშს მშვენივრად ესმის და აქედან იწყება მშობლიური ენის სტრუქტურის პირველი დიდებულების აღქმა და გამარება. ბავუშთან სამეტყველო კონტაქტის დამყარების დროს მოულოდნელად ნუ დავადგებთან თავზე, უცაოდან ნუ მივახლებთ სააღერსო ხმებსაც კი, განსაკუთრებით ახლად გაღვიბებულს. ადაპტაცია, შეგუბა ავიდგან და ყველაფერშია საჭირო.

ისევე, როგორც ბავუშს ფიზიკური არ-

სებობისა და ზრდა-განვითარებისათვის, ვურჩევთ საკვებს, ჩასატყვის, საძინე-მანძილზე გააყვეს თან და გაუმრუდოს ცხოვრებისათვის უნდა ვიზრუნოთ, უპირველესად კი მეტყველების აღზრდისათვის.

2. განსაკუთრებით პასუხსადაც ახალი ენის ამოღების, ესე იგი, ლაპარაკის დაწყების პერიოდი, პირველი სიტყვების სწორი აღქმა, საგანთა შორის მათი მართებული მიმართულება. საგანი უამრავია, მაგრამ რაც ბავუშის ცხოვრებისათვის პირველადია და სასიცოცხლო პირობებთან დაკავშირებული, თავიდანვე სწორ სიტყვიერ სიტყვას უნდა დავუკავშიროთ. არ გადატვირთოთ, ისევე, როგორც საკვები, სიტყვაც ზომიერად უნდა მოვცეთ. გაითვალისწინოთ ბავუშის სურვილები და შესაძლებლობანი.

3. თუ ბავუშს ბავა-ბალში მივაპარებთ, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ენობრივი გრძელ და ის, თუ რა როლი სიტყვიერ სიტყვას უნდა დავუკავშიროთ. გერმანულად გინდა? (ვერკინ გაიძულეს, გარდა საკუთარი ეროვნული სინდისის). დააუფლე გერმანულ ენას. რუსად გინდა აღზარდო? — ნება თქვენი, იქნებ სხვა გზა არა გაქვთ, ვინ გართმევთ ამის უფლებას,

მაგრამ თუ გინდა საკუთარი ენის შე-  
დაც აღზარდი, იმავე ერის ენა უნდა  
გაუხადო ცნობიერებისა და აზროვნების  
სურვილს საკვებად.

იმ შემთხვევაში, თუ მშობლებს (სამ-  
ხედრო პირებს და სხვ) სხვადასხვაენოვან  
გარემოში უხდებოდა მოღვაწეობა, უკე-  
თესია დედები არ მუშაობდნენ და ბავშ-  
ვები მონ იყოლიონ იმ დრომდე მანც,  
სანამ დაპარაკის ინსაულიდნენ (შემდეგ  
კი, როგორც მშფომარეობა მოითხოვს).

იხე არ გამიჯო, თითქოს სხვა სა-  
მტყველო გარემოში აღზარდილი ბავშვი  
მოზრდილობისას მამაპაპურ ენას საფუძ-  
ვლიანად ვეღარ დასაუფლებდა. არა, ის-  
წავლის და შეიძლება სხვაზე უკეთესად  
მეგარა, როგორც პირუფენებს, როგორც  
მამულშიწლებს, სამამულებ რქა იმდენად  
უზიანდება, რომ ვეღარ ვგუფება და ვერ

ივებს მის პოეტურ ნიუანსებსა და მილი-  
ან ჰარმონიას.

4. ყველაზე ყურადსაღებები და რთულია  
სკოლის წინარე და დანეჭვიერი სკოლის  
ნის მონაწევრო, როდესაც ბავშვი წერა-  
კითხვას უფუფლება. სკოლაში შესვლამდე  
მშობლიური ენის ბგერათა წარმოქმნისა  
თუ არა, აქედმის პიოცესი მიიწე უნდა  
იყოს ფორმირებულე. უამისოდ წერა-  
კითხვას სწავლება მექანიკურ ხასიათს მი-  
იღებს, ცოდნაც ზემპირობის მოჩვენებით  
გზით შეინადრდება და საერთოდ, გაუძ-  
ნებელია ნივინერების დაუფუფება. ამიტომ  
ამ პერიოდისათვის, სხვა პრობლემათა  
შორის, საბავირო როლი ენიჭება კორექ-  
ციური სწავლებლას, ანუ როგორც დიდი სხაა  
ბრძანებს, „დაკლებული საქმის განმართ-  
ვას“. უამისოდ, ე. ი. სუსტი ცნობიერ-  
ების გამო, ბავშვი სწავლაც ვერ

აყირის, გონებას ვეღარ განვიფორმებ  
შესაბამის დონეზე და თანდათან კონ-  
ფლიქტიურ მოექცევა ცოდნისმოყვარეობას-  
თან, დაირღვევა ბავშვის პიროვნება.  
როგორც რუსთველი გასაწავლის „გული,  
გრძნობა და გონება ერთმანეთზედა  
ჰკიდა“ და მათგან ერთ-ერთის ამო-  
კრებას იწვევს სხვათა დაკნინებასაც.

ამირიანე, ნუ დაიფიქრებ, რომ მშობ-  
ლიური ენისა და მისი მთავარი კომ-  
პონენტების დროული და სრულყოფილი  
დაუფუფება, საერთოდ, ყოველგვარი  
სწავლის საფუძველთა საფუძველთა.

ს. შაიშვილას შიქლი,  
მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრ-  
ალური ინსტიტუტის ლოგოპედიური ცენტრ-  
ის გამგე.

**ქალთა სამართავი**

**ქველმოქმედნი**

მთიანი აჭარის გასაჭირი მთელმა  
რესპუბლიკამ გაითავისა, ერთ მუქედ  
შეკრა სრულიად საქართველო...

სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული აჭარის მოსახლეობის დასახმარებლად დიდი წვლილი გაიღეს ქალთა სამკომიტემა.

თბილისის კალინინის რაიონის ქალთა სამკომიტემა ინიციატივით ფინანსთა სამინისტრომ შეაჯაროვა და დახმარების ფონდში ჩაირიცხა 1500 მანეთი.

ვაჭრობის სამინისტროს კოლექტივი ჩავიდა აჭარაში, მიიწახულა დაზარალებულთა ოჯახებზე, ჩაიტანა საკვები და სამარეველო საქონელი.

თბილისის კალინინის რაიონის კვებავაჭრობამ დაზარალებულთა ფონდში გადარიცხა 500 მანეთი. აგრეთვე ვაჭრობენ ცეკავაჭრობის შეთანხმებით შეისყიდონ ტიპური ფინური სახეობი. მათ აჭარლებს გაუფხავნენ ტონანახევიარი კარამელი, ნახევიარი ტონა სხვადასხვა სახის მამცხვარი და ნახევიარი ტონა მარილი.

კალინინის რაიონის საკვების ტრესტმა 500 მანეთის სამრეველო საქონელი გაუფხავნა დაზარალებულთა, დახმარების ფონდში კი 6500 მანეთი ჩაირიცხა.

კომუნალური მეთურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ გადაწყვიტა ახალქალაქში აჭარლებისათვის აავგოს 19 საცხოვრებელი სახლი.

გეოდეტრიის ინსტიტუტის მივლინებულთა ზუთკაციანი მედიკოსთა ბრიგადა.

თბილისის ტელეგრაფის მრავალ-

ეროვანმა კოლექტივმა შეაჯაროვა და მოსახლეობას ჩაუტანა 2500 მანეთი ფული, აგრეთვე ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, დახმარების ფონდში კი 8000 მანეთი ჩაირიცხა.

„საქაგრომრეწვის“ მუშაკებმა 15.000 მანეთი გადაირიცხეს, ხოლო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 15.805 მანეთი შეიტანეს დახმარების ფონდში.

კავშირგაბმულობის სამინისტრომ გადაწყვიტა წლის ბოლომდე აჭარლებს აუშეროს 5 საცხოვრებელი სახლი, გაისადაც ამდენივე. სამინისტროს თანამშრომლებმა აჭარაში ელექტროკავშირგაბმულობის მოწყობილობათა აღსადგენად გადაუხავნენ 100 000 მანეთი.

ცეკავშირში შექმნილია დაზარალებულთა დახმარების შტაბი. დახმარების ფონდში გადაირიცხულია 4 440 მანეთი. სპეციალურ ანგარიშზე კი კოოპერატიულ ბანკში გროვდება 140 000 მანეთი, რაც მომზადდება ახალქალაქის რაიონის ერთ-ერთი სოფლის მშენებლობას.

„კავშირგაბმულების“ სამმართველომ დაზარალებულთა დახმარების ფონდში ჩაირიცხა 20 000 მანეთი და გაუფხავნა დიდძალი სამრეველო საქონელი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კოლექტივმა გადარიცხა 5000 მანეთი, ობსერტური გუქედის ფაბრიკამ კი მოგების ფონდიდან გაიღო 500 მან.

ტრესტ „ინემშენმა“ 5000 მანეთი გადაირიცხა და ახლაც აგრეობის ფულს, ასევე გროვდება ტანსაცმელი და სამშენებლო მასალა, რომელსაც

თვითონ ჩაუტანენ დაზარალებულთა.

ტრესტ „საქინტურისტ სპეცრემშენში“ ჩატარდა შაბათობა. კოლექტივის მიერ გამოიწვევებულ 60 000 მანეთი მომზადდება დაზარალებულთა.

რაიონის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა 2162 მანეთი გაიღო დაზარალებულთა დასახმარებლად.

უნივერსალ „თბილისმა“ დაზარალებულთა გაუფხავნა 6000 მანეთის ლირებული სამრეველო საქონელი.

კალინინის რაიონული სამკომიტემა აღმასკომის კოლექტივმა დახმარების ფონდში ჩაირიცხა 1800 მანეთი. 1500 მანეთი კი გაუფხავნა კარგების მუშაკებლად.

პარტიის კალინინის რაიონული კომიტეტის კოლექტივი აჯაროვებს დაზარალებულთათვის ფულს, ტანსაცმელს და კვების პროდუქტებს.


დახმარების განსაკუთრებულ ფორმებს მიმართავს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კოლექტივი. აქ შეიქმნა და მუშაობს საქველმოქმედო ორგანიზაცია „ჯავახიანი“.

სულ კალინინის რაიონის ორგანიზაციიდან დაზარალებულთა დახმარებლად გადაირიცხულია 200 009 მანეთი.

ქ. თბილისის გელანის პირველი მიკრორაიონის ქალთა სამკომიტემა თავმჯდომარე ლიდა პერტიათა თავის ქალთა სამკომიტემა წევრებთან ერთად ჩავიდა აჭარაში. მათ ჩაიტანეს 500 მანეთი და თავიანთი შეკერილი 70 ქაბა.

ქველმოქმედება გრძელდება...

# უნივერსიტეტი



ინჟინერი თეოდორე ივ. ჯაბახიშვილის სახე-  
ლამის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფე-  
სორთან პასტაჟ გოგუაშვიტთან

— ბატონო ვახტანგ! გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. თქვენთან საუბარი ძალიან სასიამოვნოა ჩვენთვის; თქვენ ყველა სტუდენტისათვის დიდად პატივსაცემი და უახლოესი პიროვნება ბრძანდებით. თქვენ ყოველთვის გვირდით ელქით ახალგაზრდობას, ყველაზე მძიმე მომენტებში — მითინგებზე თუ დემონსტრაციებზე — თქვენი სიღინჯით, ცხოვრებისეული გამოცდილებით აწონასწორებდით მათ ემოციურობას, სიფიცეს. ახალგაზრდები, რომლებიც ამ დიდი ტაძრის კედლებში სუნთქავენ, კეთილმეგობრად გთვლიან და კვლავ გიგულებენ ერთგულ მრჩეველად.  
ბატონო ვახტანგ! რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში და კერძოდ, უნივერსიტეტში მოულოდ-

ნელი სიახლეა. იმ დროს, როცა მისაღებ აბიტურიენტთა რიცხვი წელს ყველგან შეზღუდული იყო და ეს კი თავისთავად იწვევდა დიდ კონკურსს, გამოცდების ჩათავეების შემდეგ მოხდა მოულოდნელი რამ: ყველა აბიტურიენტი, ვინც გამოცდებზე არ ჩაიჭრა, სტუდენტი გახდა.  
არა და, რამდენმა შეიკავა თავი კონკურსში მონაწილეობისაგან! რამდენმა მიატოვა გამოცდები, როცა პირველ საგანში სამიანი მიიღო! ამგვარად, ახალგაზრდების დიდი არმია გულდასწყვეტილი დარჩა. უარეს დღეში არიან მათი მშობლები.  
გთხოვთ განვიმარტოთ, რამ გამოიწვია ასეთი გადაწყვეტილების მიღება და ისიც გამოცდების შემდეგ? რა მიზანი ისახავს იგი

და განმეორდება თუ არა მომავალში?  
— ეს გადაწყვეტილება ჩვენგან არ მომდინარეობს. იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო და მას საფუძვლად კაცთმოყვარეობა, აღმათურთი მხარე უდევს. ამ გადაწყვეტილებას ერთგვარი ექსპერიმენტული შეიძლება ეწოდოს. ვინც მისაღებ გამოცდებზე არ ჩაიჭრა, დაე, მანაც ისწავლოს დაუსწრებლად, ან სალამოს დასწრებულზე. რაც მეტი განათლებული აღამიანი ეყვლება საქართველოს, მით უკეთესი. წინასწარ ვერ გეტყვით, განმეორდება თუ არა წლებიანდელი მაგალითი მომავალში. ალბათ, ამას მისი შედეგი განსაზღვრავს.  
მე მიმაჩნია, რომ დროა შეიცვა-

ლოს მისაღები გამოცდების ჩაბარების ტრადიციული წესი. სერიაზული გადასვლა სჭირდება პედაგოგებს, მავალითად, ქართულ ენასა და ლიტერატურაში. წერითი სამუშაოებში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აზროვნებით მხარის. საერთოდ, უნივერსიტეტში უნდა გატარდეს ისეთი პერიოდები, რომლებიც გამოირჩეხავს ხათრის ვაწყების სამუშაოებს.

**— არის აზრი, რომ თითქმის ჩარიცხული სწავლის ხტულები გადაიხდიან სწავლის ფულს? რამდენად ახლოს არის ეს აზრი ჭეშმარიტებასთან?**

— უნივერსიტეტი აბირება სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის, მაგრამ ამისათვის ჭეჭეჭობით მზად არა ვართ. სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა გამოიწვევს იმას, რომ ვინც ექნება ეკონომიკური შესაძლებლობა, ის ჩარიცხება და გადაიხდის ფულს, მაშინ ალბათ დასაშვებია იქნება ერთდროულად როგორც საბიუჯეტო ფონდი, ისე სამეურნეო ანგარიში. ჭეჭეჭობით სწავლის ფულს გადახდა არ მოხდება. საღამოს დასწრებულისა და დაუსწრებლის სტუდენტები იმით „ზარალიდებიან“, რომ სტიპენდიას ვერ მიიღებენ. ვინც კარგად ისწავლის, შესაძლებელი იქნება მისი გადაყვანა დღის ფულსტუტზე. ვინც ვერ შეძლებს სწავლას, ის თავისთავად გაიჩნება.

ზოგით ვახსენებ სწავლის გადასახადი, რაც ალბათ, სამეურნეო ანგარიშში მოწყვება შეეძლება. განა ჩველას შეეძლება ფულის გადახდა? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ მათაც მივღებთ. და თუ ისინი კარგად ისწავლიან, შეიძლება სტიპენდიაც დაიმსახურონ.

**— ხომ არ გამოიწვევს წლივანდელი უქსებიმენტო სუსტი სპეციალისტების რიცხვის ზრდას? არა და, ახლა ჩვენს რესპუბლიკას რა რაგად სჭირდება ჭეშმარიტად მაღალი დონის, თავისი საქმის კარგი მკოდენ მოქალაქეები?**

— სწავლის გაუფასურების საშიშროება რომ არ შეიქმნას, გვეყოლება სათანადო კომისიები, რომლებიც ჩაიბარებენ გამოცდებს სესიების დროს. გარდა ამისა, განხორციელდება სრული საჯაროობა, სტუდენტები მოისმენენ თავიანთი ამხანაგის პასუხს. დაუსწრებელი სწავლების სტუდენტმა იმ 30 კალენდარულ დღეში, როცა მას მოუწევს უნივერსიტეტში სიარული, ლექციებზე უნდა მოისმინოს და გამოცდებზე უნდა ჩააბაროს. კიდევ ვიმეორებ, საუკეთესო სტუდენტი დღის დასწრებულზე გადავა.

სწავლების ხარისხის ასამაღლებლად ბევრ ღონისძიებას განვახორციელებთ; ჩვენი პროფესორები, რომლებსაც ხშირად უწევთ საზღვარგარეთ ყოფნა, გაფორმებული არიან კარგად გაეცნონ იქაური სწავლების წესს, გაითავალისწინონ ყველა ანარი მთელყო და აქედან გამომდინარე შეიმუშაონ მთელი ჩვენი უნივერსიტეტისათვის. აღიარებულა, რომ უტყობოში სწავლას ის, ვისაც ცოდნის მიღება უნდა, ჩვევთან მთლად ასე არ არის—აქ ბევრი ახალგაზრდა მხოლოდ დიპლომის მიღებითაა დაინტერესებული.

განა ბევრი გეყავს ისეთი სტუდენტი, რომელიც კურსის დამთავრებისას ბიბლიოთეკაში აღაპებს? და ალბათ დადგება დრო, როცა ჩვენთანაც მხოლოდ სწავლისთვის მოვლენ, ეს მაშინ, როცა აღმანებნი გახსნიან კერძო რესტორანს ან სასტუმროს, ისინი დაკავებული იქნებიან თავიანთი საქმიანობით და დიპლომს აღარ გამოეკიდებიან. მაშინ, ალბათ, არც ამდენი ხალხი არ მოვაწყვდება.

სწავლების ხარისხი ღიდა და ისი დამოკიდებული ლექტორზე. მაღალკვალიფიკაციანი ლექტორი ყოველთვის ფასდება და დაფასდება. როცა სტუდენტი სწავლის ფულს გადაიხდის, მაშინ ის ლექტორსაც დაიჩივს, თვით ვალაწყებულს, ვის ჭგუფში იმეცადინოს. უსტრუქტორი კი თანდათან დაკარგავს სტუდენტებს...

რადან ქალთა ჟურნალიდან ბრძანდებით, ერთი საიდუმლო მინდა გავხიზლოთ. არის იდეა, რომ მომავალში შეიძლება უნივერსიტეტთან გაიხსნას კეთილშობილ ქალთა სასწავლებელი, სადაც საღამოს საათებში ისწავლიან ქართველი გოგონები, ახალგაზრდა დედები. ამ სასწავლებელს არ ექნება უნივერსიტეტზე ხალხები უფლებამოსილება, მეცადინეობა ჩვეულებრივი პროგრამით წარიბარება, ისე, როგორც უნივერსიტეტში... და ვფიქრობ, ამ სასწავლებელს უნივერსიტეტთან

შედარებით გარკვეული უპირატესობაც ექნება.

**— ბატონო ვახტანგ წულს, როგორ თქვენ აღნიშნეთ, 1600 სტუდენტი მიიღებ დამატებით. ხომ არ წარმოიქმნება გაჭირვება აუდიტორიებისა და საერთო საცხოვრებლის ბინების სიმცირის გამო?**

— ჩვენ ამაზე ვცდივართ. გადაწყვეტილი გვაქვს იჯარით ავიღოთ ერთერთი კარგი შენობა, სადაც ლექციები ჩატარდება. შევძლებთ საცხოვრებელი ბინებითაც უზრუნველყოთ ჩვენი სტუდენტები. რაკ საღამოს და დაუსწრებელ სწავლებაზე ჩარიცხული 1600 სტუდენტი ვახსენებ, მინდა განვიმარტო: თქვიდან 400 სტუდენტი სხვადასხვა გარემოებათა გათვალისწინებით მივიღებ. ესენი არიან ნაწილობრივ გამსწვლეული ქულის მქონე აბიტურენტები, სტიქიით დაზარალბულ აჯარულთა და სვანთა ოჯახის შვილები, მრავალშვილიანი ახალგაზრდა დედები, სპორტსმენები, ინვალიდები. ვფიქრობ, არ გვიმტყუნებენ, გამართლებენ ჩვეს ნილას.

**— როგორი პოზიცია უჭირავს უნივერსიტეტს სოხუმის ფილალის მიმართ?**

— სოხუმის ფილიალში მისაღები გამოცდები ჩატარდება. იქ სწავლის მსურველი ბევრია. თანდათანობით, როცა ყველაფერი დაწყნარდება, როცა დანაშაუვ ექსტრემისტები საკადრისად დაისჯებიან, სწავლის ნორმალური პირობებიც იქნება.

**— არის აზრი, რომ საქართველოს მომავლისათვის აუცილებელია გაიხსნას უმაღლესი სასწავლებლების ფილიალები სხვადასხვა ქალაქებში. ამის შესახებ რას გვეტყვი?**

— ეს ძალიან კარგი ჩანაფიქრია. ერთერთი ფილიალს გახსნას მესხეთ-ჯავახეთში, კერძოდ, ახალციხეში გაიბრებ, ზოგჯერინსტრუქტურისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მონაწილეობით. არცერთი ლექტორი არ იტყვის უარს წესიყვანში ერთი თვე ჩავიდეს მესხეთში უსასყიდლოდაც კი. მაგრამ ჩვენ მაინც კარგ მატერიალურ ანაზღაურებას შევთავაზებთ.

— გისურვებთ ყველა სიკეთეს იმისათვის, რომ ღირსეულად გაგაეწიოთ თქვენი ჭკაანი ქართველი ახალგაზრდობის აღზრდისთვის.



# იჭარა სანარდო სახეობა სებზე

**ს** აკარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთის „ნითელი ოქტომბრის“ სახელობის კოლმეურნეობაში იჯარამ არსებობის მცირე დროში უკვე დაამტკიცა თავისი უპირატესობა. წლების მანძილზე „აქილევსის ქუსლად“ რჩებოდა მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდის რეზერვების სრული ამოქმედების საკითხი. თითქოს ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ მცირე დანახარჯებით უხვი მოსავალი მიეღოთ — გაეზარდათ პეკტარზე პურის, ქურისა და სხვა მარცვლეულის რაოდენობა, აემალღებინათ პირუტყვის პროდუქტიულობა. საქმე კი ადგილიდან არ იძვროდა. ვგებები სრულდებოდა, მაგრამ მარტო ეს როდი იყო საკმარისი — მიწა და პირუტყვი სრულად ვერ ავლენდნენ თავიანთ შესაძლებლობებს.

ბევრი ხედავდა, რომ შრომის არსებული მოძველებული ფორმა ხელს უშლიდა საბოლოო შედეგებისათვის ბრძოლას. სანარდოს დონეზე მართვის ეკონომიკური მექანიზმი — „მუშა-ბრჯავა-მეურნეობა“ მუშაობაში ფერხდებოდა. მუშამ და საეკონომისტმა მიწის ბატონ-პატრონად ვერ იგრძნეს თავი. ადამიანებს კი სურთ იყვნენ მდგომარეობის მფარვენი. ყოველივე ამან ძალზე დააფიქრა პარტიის რაიონული კომიტეტი და აქედან დაიწყო სიახლეზე ფიქრი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და საპრობლემის ინსტიტუტიდან მოიწვიეს მეცნიერები და შესთავაზეს ქვეყნის

მონიწივე მეურნეობების მსგავსად ადგილობრივი ბუნებრივი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით საკარეჯოს რაიონშიც შეექმნათ და დავხვეწათ სანარდო მეთოდის მუშაობის მოდელი. ამ საქმის პიონერად კაკაბეთის „ნითელი ოქტომბრის“ სახელობის კოლმეურნეობა მოგვევლინა.

საკითხის შესწავლით ირკვევა, რომ იჯარის დანერგვამდე კოლმეურნეობის მექროსებობის ფერმის შედეგები ძალზე სავეალალო იყო. მაგალითად, 1987 წელს მექროსებობის ფერმამი სულადობის გეგმა 65 პროცენტით, წონამატი — 50, ნამატის მიღება — 55 პროცენტით შესრულდა. ფერმამ სამეურნეო წელიწადი 82 ათასი მანეთის ზარალით დაამთავრა. შედეგი დამაფიქრებელი ვახდა.

კოლმეურნეობის სხვა სანარდოო ქვედანაყოფებთან ერთად მექროსებობის ფერმის მწველავმა მარიამ გულაღაშვილმაც გააბა და მთელი ფერმა ოჯახური იჯარით აიღო. ამის თაობაზე კოლმეურნეობის გამგებობასთან დადეს ხელშეკრულება. მასში მარტვიად და გასაგებად დასახულია ბრიგადის ამოცანები და მათი შესრულების შესაძლებლობანი.

ოჯახური სანარდო ქვედანაყოფი თორმეტი კაცისაგან შედგება. აქედან შვიდი — ერთი ოჯახის წევრია, სხვები ახლო ნათესავეები არიან; მოიჯარებენ მეურნეობისაგან სადგამო-სააღრიცხვო ფასების მიხედვით ყიდულობენ საკვებს, მდივანებებს, ისტუმრებენ ტრანსპორტისა და ტექნიკის მომსახურების, ელექტროენერ-

გიისა და შენობის ამორტიზაციის ხარჯებს.

კოლმეურნეობა საანგარიშსწორებო ფასებით საიჯარო ქვედანაყოფიდან ერთ ცენტნერ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის წონამატს 250 მანეთად ყიდულობს, ცენტნერ რძეს — 35, ხბოს — 53 მანეთად.

საბოლოო ანგარიშსწორება წლის მინურულს ხორციელდება, როდესაც შრომის შედეგები საბოლოოდ ჯამდება. წლის დამლევამდე კი ყოველთვიურად იღებენ ავანსს, რომელიც განისაზღვრება ერთიანი განანესის მიხედვით, მათ მიერ წარმოებულ პროდუქციის მოცულობაზე. კოლმეურნეობაში მოქმედი საანგარიშსწორებო ფასების გადამრავლებით.

იჯარით მუშაობის მეორე წელა როგორც ყველა სიახლის, ისე ამ მეთოდის ათვისებაც ჭირს. მისი მექანიზმის საბოლოო გამართულობაზე მსჯელობა ჯერჯერობით ნაადრეობა, მაგრამ მისი უპირატესობა უკვე ნათლად იგრძნობა. მაგალითად, იჯარის დანერგვამ ფერმიდან გამოაიკისუფლა ხუთი კაცი. ბოლო შედეგების მიხედვით თუ ვინაშეღებუთ ერთი ფერის საშუალო წველადამა გაიზარდა 1212-ად 1794 კილოგრამამდე, ანუ 582 კილოგრამით. ცენტნერი რძის თვითღირებულება შემცირდა 8 მანეთითა და 36 კაპიტი. 100 ძროხაზე მიღებული ხბორების რაოდენობა 50-ად 62 სულამდე გაიზარდა. იჯარით მუშაობამ საკვების ხარჯვა მნიშვნელოვნად შეამცირა.

იჯარით მუშაობის წლებადმდე წელს, საიჯარო ქვედანაყოფის თითოეულმა წევრმა 1983 წლის შესაბამის ფასების მიხედ-



დვით 7117 მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქცია ანარმოა. ზარმან შრომის ანახლარების სახით თითოეულმა ნეურმა 1660 მანეთი მიიღო.

შიდასამეურნეო ფასების მეშვეობით კომეურნეობა ყოველწლიურად ცდილობს, რომ მოიჯარეები პროდუქციის წარმოების გადიდებით წაახალისონ. მაგალითად, რაც შემთხვევაში პირუტყვის ნონამატზე დანერგული სახელმეურნეო ფასი მაღალია და სახელმწიფო შესყიდვის ფასსაც კი აღემატება. ერთი შეხედვით ისეთი სურათი იქმნება, თითქმის ასეთი ფასი მოიჯარეებისათვის მეტად ხელსაყრელია. სინამდვილეში კი ნონამატის სახელმეურნეო ფასი დაბალია და რეალიზაციას არ შეესაბამება იმიტომ, რომ კომეურნეობისაგან არნადატორები ცენტრში თვის ქვეს მანეთად ყიდულობენ, ნამჯას — 3, სილოსს — 4, სენასუ — 4 მანეთად. კომბინირებულ საკვებს თუ ყიდულობდნენ 12 კაიკად, ახლა — 18 კაიკს იხდენ, საკვებზე სავეტემო სანავარშნორებში ფასების ძალიან ღირს. ცხადია, სახელმეურნეო ფასის გადიდებასაც იწვევს.

არნადატორებმა კარვად იციან, რომ მათი საერთო შემოსავალი ეს არის პროდუქციის ღირებულებასა და მის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებს შორის სხვაობა. ამიტომაც ყველაფერს კაიკობით ითვლიან; ვთქვათ, დღეს ფურემა ბოლომდე არ ჭამს სენაფი, ეს იმას ნიშნავს, რომ საკვები ხვალ ცოტად უნდა მისცენ, ანდა, ბუღალჯორი იჯარით აიღეს ერთი დღით, ტრაქტორისტს ერთ დღეზე მეტ სამუშევარს არაინ გამოუწერს.

საყოფარი წარმოების საკვებით უზრუნველყოფის პირობებში, როდესაც დაღინტრესდით და საფუძვლიანად გაკანალოებით, თუ რა იყო შემოხეობის პროდუქციის წარმოების გაძვირების მიზეზი, გამოირკვა, რომ ამის თავი და თავი მოსახურების სფერო, კერძოდ ავტორანსპორტის დიდი დანახარჯები ყოფილა. მაგალითად, კაკეთიდან ათი ბიღონი რძე საეარეფოს რძის ქარხანაზე რომ წავლდით, ზოგჯერ მძლოლი ორი ავტომობილსათი ანახლარების — 5 მანეთის ნაცვლად, საჯურის ფურელებში 30 — ტონა კილომეტრს უწევდა და და ფერმიდან 10 მანეთი მიჰქონდა.

ერთი სიტყვით, იჯარამდე იოლი იყო სახელმწიფოს ზარჯით ხელგაშლილი ცხოვრება. ახლა? — ყველაფერს ანგარიშს უწვევს, ამას წინათ ზოოტექნიკოსმა ფერმაში ლამით შემოიარა. შუქი რომ არ ენთო, იფიქრა, ალბათ, სინათლე კვლავ გამოართოო. სინამდვილეში პირუტყვის მოსყიდვისა და ელექტროენერჯის მომჭირნობით ზარჯვის მიზნით, მოიჯარეები ლამე სინათლეს აქრობენ, მას მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში რთავენ. რას იხამ, იჯარას წერილმანების ანგარიშს უყვარს.

თმანგი ქაპიტარბძე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.



### ქუცნა ამირეჯობის სახე ნაბახტევის ეკლესიაში

ვით წარტობობის ცივი სადგომი, ქუცნა, ფრესკაზე ხარ დაჩრწენილი და მოლოდინით ხვალისდღეს უცდი, ხვალისდღეს უცდი განაჩენივით.

ხვალ მოვლენ, მოვლენ და ნაიღებენ ბედნიერების დადა სახებას და გული გტკივა, რომ სიყვარულიც თუმერ ყოფილა ხელშესახები.

ხვალ მოვლენ, სოფელს ააოხრებენ, ძარცვა-რბევებში ვინ გაევიწროო, არ გეშელება ჰარამხანისთვის ლამაზი ცოლი, ამირეჯობი!

ეს ღამეც ასე ჩამოილია, სვედას სასახლე ისევ დაქორა. და სიყვარულის დაკარგვის შიშით ფეხზე წამოიდა ქუცნა ბაქონი.

ჩამოიფრთხა ნუქი ხალათი, ზეჯას კი თეთრი მთვარე აკლდება ნეტა მას, ვისაც არ უნდააღებეს ცოლი და ურჯით ზედ დააკვებდა.

ვით წარტობობის ცივი სადგომი, ქუცნა, ფრესკაზე ხარ დაჩრწენილი და მოლოდინით ხვალისდღეს უცდი, ხვალისდღეს უცდი განაჩენივით.



თუ სიყვარულის განაჩენისთვის ყველას მყავს თავის მფეუ სარიდან, მე მსურს გაევიყო, უმტიკინეულოდ ვინ შემოვიდა ღია კარიდან.

გვირგვინად მადგას ეს აღსარება, რადგან ტყივილის მფეუ მე ვარ, ვის — გულცივობა დახშულ კარების, ვის, კიდევ, ღია კარების მტვერეა...

გიორგი ლოგაძანიძე



მარტია.  
ბაღში ამოსულა წარცისი.  
წვიმა წამოვიდა;  
— შეცვიდეთ, ქალბატონო?  
— არც ისე!  
— მოდით მოვახურებთ მზევების მანტიას,  
რას იხამთ, ქალბატონო, მარტია!  
წვიმა წამოვიდა.  
ბაღში ამოსულა წარცისი.

### ჯარჯი

გასრულდა სოფლის ამო გარჯა, რადგან დღეები გახდა იაფი, ხვალ მუყყევა ჭიუხებს ჯარჯი, მზით დალილი ჩოხას მზეზე მიაფენს.

მიდის ჩვეულად, ვით გრძელ ბილიებს უწინდელივით ადღვირი ადინოს, რომ მიხი შიშით და მოქრძალეობით მყრალ ბუნავებში თრთოლდეს ნადირი.

არც ვინ დაუშლის — „შეილო, ნუ მიხვალ!“ არც ვინ შეაწეს სიტყვას აწონილს. თვალწინდელი კლდე უყვართ ჯიხვებს, თეთრად აწთია ჯიხვთა ნაწოლი.

გასრულდა სოფლის ამო გარჯა, რადგან დღეები გახდა იაფი, ხვალ მუყყევა ჯიხურებს ჯარჯი, მზით დალილი ჩოხას მზეზე მიაფენს.



# ნორჩი მსოფლიო ჩემპიონი



ლიანა ღარჩია

## ინტერვიუ წინა გოგონებადამცემთან

აუთრომ-რიკოში გამართულ მოხარულ შობაღატაკეთა მსოფლიო ჩემპიონატში პარტიკულმა გოგონებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. ამის შესახებ რედაქციაში სასაუბროდ მოვიწვიეთ წინა გავჩინდაშვილი, რომელიც იმ ჩემპეჯუგუხს ახლდა.

— პუერტო-რიკოში პირველად იყავით, როგორი შთაბეჭდილება დაგჩაოთ?

— იგი საკურორტო ადგილია. თავისი ბუნებით კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. მგარამ მოჭადრაკეთა მომსახურება არ იყო სათანადო დონეზე.

— ჩვენ გავჯახარა ცნობამ, რომ მსოფლიო ჩემპიონის წოდება თორმეტწლიან გოგონებს შორის მოიპოვა ბათუმელმა მოსწავლემ ღიანა ღარჩიამ. როგორ მიაღწია მან ასეთ წარმატებას?

— ამ ჩემპიონატზე მისი მთავარი კონკურენტები იყვნენ ბულგარელი, პოლონელი და რუმინელი მოჭადრაკეები. მათ შორის ყველაზე ძლიერი ღიანა იყო. მან ერთი ტურით ადრე მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. ღიანა 12 წლისაა. იგი ბათუმის 23-ნაშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეა. მეცადინეობს პიონერთა და მოსწავლეთა პარკთან არსებულ კლუბში. მისი მწვრთნელია სპორტის ოსტატი გურამ ქანტურია. ღიანას წარმატება უთუოდ განაპირობა მისმა ინდივიდუალურმა თვისებებმა: თამაშობს ძალიან სწრაფად, აზროვნებს სწრაფად, აქვს დიდი

ნებისყოფა. ჩვენ მისი სახით პერსპექტიული ქართველი მოჭადრაკე გვეჩრდებდა.

— ღიანა ჩვენ ქართველ მოჭადრაკე გოგონებზე რას იტყვით?

— თექვსმეტწლიანებში მეორე ადგილი დაიკავა თბილისელმა თეა ლანჩავამ, რომლის მწვრთნელიც მე ვახლავართ. ადრე მან თორმეტწლიანებში მოიპოვა ჩემპიონის წოდება, რამაც განაპირობა წელს საქართველოდან ამ ასაკის ორი მოჭადრაკის გაგზავნა: მეორე ვახლდათ ქუთაისელი სოფიკო ნიკოლაძე. თეა ლანჩავას ძალიან ძლიერი კონკურენტი ჰყავდა საერთაშორისო სპორტის ოსტატ დობროვსკაიას სახით. პირველი ადგილი თექვსმეტწლიანებში პოლონელმა დობროვსკაიამ აიღო, რომელმაც 10 შესაძლებლობიდან 9 ქულა დააგროვა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა თბილისელი თეა ლანჩავა, რომელმაც დამსახურებულად დაიკავა მეორე ადგილი. მე-3, მე-4 ადგილები გაინაწილეს ქუთაისელმა სოფიკო ნიკოლაძემ და ბულგარელმა მოჭადრაკემ. თეა ლანჩავა თექვსმეტწლიანებში ყველაზე უმცროსი იყო, მისმა წარმატებამ განაპირობა ის, რომ მას

უფლება აქვს მომავალ წელსაც ამავე ასაკში გამოვიდეს. თვრამეტწლიანებში მონაწილეობდა თბილისელი ნანა ჯანჭღავა. ჩემპიონატში მან წარუმატებლად ითამაშა და მეექვსე ადგილს დასჯერდა. მისმა მწვრთნელმა ეს ფაქტი მოჭადრაკის გადართობით ახსნა.

— როგორ უყურებენ საკავშირო სპორტსაკომი და საკავშირო ჭადრაკის სამმართველო თორმეტწლიანთა მონაწილეთას მსოფლიო პირველობაში?

— ჭერჯერობით უარყოფითად ეკიდებიან ამ ასაკის მოჭადრაკეთა თამაშს. ძირითადად ეს ბოტკინიკის აზრია. მე კი მიმაჩნია, რომ სრულიად დასაწყებაა თორმეტწლიანების გამოსვლა მსოფლიო ჩემპიონატებში, როგორც ამას ახორციელებენ სხვა ქვეყნები.

— როგორია თქვენი, როგორც მოჭადრაკის გემგები მომავალში?

— დეკემბერში მივემგზავრები ესპანეთში ვაჟთა შორის მსოფლიოს თასის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად.

— გისურვებთ წარმატებას!

ესახებრა თამარ ნინიძე

# დრო

მატყარი კარლ ფაქულია

მოთხრობა

მეოთხე სართულამდე ლიფტით ავიდა. გული საშინლად უცემდა, ფეხები უკან რჩებოდა, მაგრამ რადგან ერთხელ გადაწყვიტა, დაბრუნება აღარ ღირდა. ცოტა ხანს კართან შეიცადა, ღრმად ამოისუნთქა და თითი დააჭირა ზარის ლილავს. ზარი ჩიტივით აფლურტულდა. „ოპო“, ესეც შეუქენია? “ გველიმა და უცებ დაუბრუნდა ძველი სიძულიელი იმ კაცის მიმართ, ვისთანაც ახლა სტუმრად მიდიოდა. ისევ უკან დახევა მოუნდა, მაგრამ კარი უკვე გაიღო და გურამის დედის პირისპირ აღმოჩნდა. ქალი თან სველ ხელებს იმპრავლებდა, თან შუბლზე წაკრულ ხილაბანდს ისწორებდა. ირამს დანახვაზე შეცბუნდა, დაიბნა კიდევ, მერე აფორიაქდა.

— შეილო, — ნამოსცდა უმწიოდ, — სადა ხარ დაკარგული? შემოდი, შემოდი...

ირმამ საცოდავი სახე მიიღო. არ მოელოდა გურამის დედასთან შეხვედრას. მხრებში აინურა და უთაგებოლად ალულულღმა.

— მე... მე...  
დაისახლისმა ხმაურით მიხურა კარი.  
— გურამი სადაც არის გამოჩნდება, არსადაც არ გაგიშვებ, მეც ახლავე მოვალ, უკანასკნელ პერანგს გაავლებ და...  
ირმა გაუბედავად წამოვიდა. სააბაზანოს გვერდი აუქცია და ოთახის შუაგულში შედგა. მერე გაფაციცებით მოათვალიერა იქაურობა. ყველაფერი ძველებურად გამოიყურებოდა, მოვილი სა-მუზეუმო ოთახს ჰგავდა. თითქოს ყველა ექსპონატი გაიტანეს და მხოლოდ სივარცელე დარჩა.

ქვედა სართულიდან პიანინოს ხმა ამოდიოდა. ეტყობოდა, ბავშვი სწავლობდა დაკვრას. კლავიშები ხან აფრიალდებოდნენ, ხან მიჩრმუდებოდნენ. მწარედ შეეკუმშა გული: „ნეტავ, რისთვის მოვიდიოდი? ძველი განცდების აღსადგენად? თუ ცნობისმოყვარეობა მაიძულებდა, გამეგო, რა დარჩა ამ კედლებს შორის!..

— გაიფიქრა და თვალები უნებურად წიგნის თაროებისაკენ გაქცა. ისევ ისე, უცვლელად ჩამწკრივებული ყდები მოჩანდა: ენციკლოპედიები, სქელო, შავ-შავი ტომეულები, მხატვრული ალბომები... ირმა მიუახლოვდა და წიგნის ყდაზე მიყვებულ ფოტოსურათს დააკვირდა. გურამი იყო ყადაღებული უცნობ მამაკაცებთან და მანდილოსნებთან ერთად. მანდილოსნებიდან



უკვე სახელმწიფოებრივ, მსოფლიო პოეტთა ქალი იცნო. გურამიძის გვერდით იდგა. კითხმ შემთხვევით, მაგრამ მინც საკანგებობა, თვალთ საცემად... ეს განზრახვა სახეზე ტექსტობდა. ცოცხლად, რაღაცნაირად გამომწვევადაც იყურებოდა. შემწეული ჰქონდა, ცხოვრებამაც ასეთი იყო. მუშად ცდილობდა თვალბინი ვაგონრბანდა მოსულობისთვის, სახეზე ღირსეული, ნოვოლოსოფოსო გამომეტყველება შეგნარწუნებინა, მაგრამ იმიტომ ეს არა, რომ მართლა გულწრფელი და პირდაპირი კაცი იყო, უნარად, პირფერი აღ უნარად, ნეტანის ცხვირით გვერდით წერილფხვა მტაცებელს, უფრო სწორად, სინდოფალას ჰპავდა.

საინდფო ნოტიო სოფმ დაჰქრლდა. ოთახის ერთი კარი აივანზე გაიღიდა და ღიად დაეტოვებინათ. მრავალსართულიანი სახლის მიღმა, კუს ტახის მიდამოები და მწვანე ღერობები მოჩანდა. შორიდან ხუბულსახილი გამოიყურებოდა სახაგრო გზის შერბინა. შეფოთლოლ აღვის ხეებში გამჭვრავლ რიდესავით დაფლოთლოლ ცა და ჩამავალი მზის მოოქროვილი სინათლე იბლანდებოდა.

იქვე უფო და უფრო ნაუღადა ხსიათი. რამდენჯერ მდგარა, ამ სა აივანზე და შორულდ მისი ამოთიერიღული მწვერვალბისათვის უხურნია. მამინ სხვაგვარი ცოვა, უფმითი არ ხედებოდა ის მწვანე ფერდობი და იღლის ბუჩქებში მოფენილი გორაკებიც. ცაც კი სხვანაირ უმუქს ასხივებდა. ირმას გული მოეწონა. „წარსტოლ, ამცყო, მომავალი, აბა, რა ყრია ადამიანწა, ოთავს დეცავე კი არ შეუძლია არასასომოვრო მოგონებებისაგან“. სახეზე აიფარა ხელები. როგორც სხვა ირმის, ამ სახელში შემოსვლისას, ახლაც გაქცევა მოუნდა, მაგრამ ყოფილფთვის რაღაც ძალა ბოჭავდა, აჩერებდა. ადრე ამ გრძობას ვერც კაცის მაცდუნებელი აღერსითა და ვერც მასთან სახალციის სურვილით ხსინდა, რაღაც საოცარი დაქანულბობა იყრობდა ხოლმე, გადატანილი ღლის სიძიმზე ამ ოთახში მხრებზე ტვირთად აწებობდა, როცა ხავერდის რბილ, ცისფერ საავრებში ჩაუშვებოდა, ძალი ერეოდა. კაცს რომ ვეფერებოდა, მამინაც მომთხოვნი სინაზე ვუფლებოდა, ეტყებოდა, რომ გურამის თამაგდევდა ძილის, დაღლილობის და მარტოხელა ადამიანის დაგრძობინებულ სურნელს.

